ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი № 5

ქ. ახმეტა

3 თებერვალი , 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ. წითელაური, გ. ქიტესაშვილი, ნ. ღუბიანური, ი. უჯირაული, გ. უძილაური, რ. ბაღაკაშვილი, ზ. გარსევანიძე.

სხდომა გაიხსნა $11^{00}$ საათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ;

/მომხსენებელი -მზია ბექაური/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ოჟიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ( საბავშო ბაღის ყოფილი საქვაბის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45 %-ით შემცირების თაობაზე;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ააიპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით ბიუროს წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, არსებული ხარვეზების გამო პირველი და მეორე საკითხი, კომისიაში დაებრუნებინათ განსახილველად.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ააიპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკითხი ეხება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით ააიპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" სატრანსპორტო საშუალებას მაღალი გამავლობის ავტომობილი, მარკა - TOYOTA, მოდელი 4-RUNNER, გადაცემას.

საკითხის შესახებ შენიშვნები არ ყოფილა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო GEORGIA AKHMETA MUNICIPALITY ASSEMBLY

ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

ბიუროს სხდომა დაიხურა $11^{50}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გ. ჯუგაშვილი გელა ჯუგაშვილი